# სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

ივნისი 2021

2021 წლის ივნისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **136 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **243 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ივნისში **81 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივნისში **496 ლარი** შეადგინა. გურიაში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 739 ლარი შეადგინა, თბილისში - 644 ლარი, კახეთში - 470 ლარი, ხოლო აჭარაში - 457 ლარი.




**გრაფიკი 1:** მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

## სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2021 წლის ივნისში, 2021 წლის მაისთან შედარებით, 6.4%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი გაიზარდა 8.6%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 1.7%-ით გაიზარდა.

2021 წლის ივნისში, 2019 წლის ივნისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 1.5%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 0.1%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2.8%-ით შემცირდა.

| რეგიონი | სასტუმრო | | 3*, 4*, 5* | | საოჯახო | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 ივნ/ 2021 მაი | 2021 ივნ/ 2019 ივნ | 2021 ივნ/ 2021 მაი | 2021 ივნ/ 2019 ივნ | 2021 ივნ/ 2021 მაი | 2021 ივნ/ 2019 ივნ |
| კახეთი | 3.9% | 13.9% | 5.1% | 4.1% | 3.4% | 16.7% |
| იმერეთი | 4.7% | 2.2% | 2.8% | 2.1% | 6.4% | 2.2% |
| გურია | 16.4% | -1.1% | 22.4% | -7.2% | 0.0% | 12.2% |
| ქვემო ქართლი | -5.9% | - | - | - | -11.4% | - |
| აჭარა | 26.4% | -2.3% | 34.8% | -1.5% | 9.9% | -4.2% |
| რაჭა | 2.6% | -4.8% | - | - | 2.6% | -4.8% |
| შიდა ქართლი | 6.0% | 26.1% | -5.2% | 14.3% | 32.5% | 32.5% |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 2.1% | 4.7% | 0.1% | -3.3% | 3.3% | 9.3% |
| სამცხე-ჯავახეთი | 2.0% | -10.5% | 7.5% | -23.3% | -5.7% | 11.1% |
| მცხეთა-მთიანეთი | 3.0% | -0.5% | -0.4% | -3.6% | 7.3% | 1.9% |
| თბილისი | -1.5% | 3.1% | -1.5% | 4.8% | -2.1% | -10.2% |
| სულ ფასების % ცვლილება | 6.4% | 1.5% | 8.6% | 0.1% | 1.7% | -2.8% |

**ცხრილი 1**: ფასების % ცვლილება 2021 წლის ივნისში, 2021 წლის მაისის ფასებთან შედარებით და 2019 წლის ივნისის ფასებთან შედარებით

**1** შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
**2** საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
**3** სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.